ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3919626

ნომერი: AR1591952

თარიღი : 11.04.2018

გაცემის თარიღი : 18.04.2018

გაცნობის თარიღი : 19.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნინო ჯავახიშვილის ქ. N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტატო მუხიგულაშვილი პ/ნ 01019032451
- თბილისი დიდი ჯიხაიშის ქ. N 50

ორგანიზაცია:

- შპს აკად. გ ჩაფიძის სახელობის გადაუდ. კარდ. ცენტრი კოდი: 202051876

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: გაურკვეველია განმცხადებლის უფლებამოსილების საკითხი. სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ (თქვენს შემთხვევაში შპს "აკად გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი"-ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა) ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. თუ სამსახურს მომართავს მიწის ნაკვეთის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით, ხოლო თუ სამუშაოებს ახორციელებს მესაკუთრე წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლეთა თანხმობები განსახორციელებელ სამუშაოებთნ დაკავშირებით.

ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულებები: მიწის ნაკვეთი ფართით 157.00, 74 და 121 კვ.მ. ფიქსირდება მშენებლობის უფლების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები ეხება აღნიშნულ ნაწილებს, საჭიროა მოიხსნას ვალდებულება ან წარმოდგენილი იქნას ვალდებულების საფუძველი და უფლეაბმოსილი პირის თანხმობა. ხოლო, თუ სამუშაოები არ ეხება ვალდებულებით დატვირთულ ნაწილებს, საჭიროა წარმოდგენილი იქნას აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.